

ქართული ენა და ლიტერატურა

XI

მასწავლებლის ნიშანი

გრიფი მიენიჭა 2012 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის მიერ (ბრძანება №375; 18.05.2012)

ვახტანგ როდონაია,
ნინო ნაკუდაშვილი,
ავთანდილ არაბული,
მარინე ხუციშვილი

სწავლანი
2012

© „სწავლანი“, 2012

ISBN 978-9941-9272-1-8

შინაარსი

სახელმძღვანელოს დანიშნულება და სტრუქტურა.....	4
XI კლასის ეროვნული სასწავლო გეგმა ქართულ ენასა და ლიტერატურაში	6
სახელმძღვანელოს შესატყვისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან — შინაარსისა და მიზნების რუკა	26
სასწავლო მასალის წარდგენის ფაზები და გაკვეთილის დაგეგმვის ზოგადი პრინციპები	32
სანიმუშო გაკვეთილების სცენარები.....	34
შეფასების სისტემა, ფორმები, რეკომენდაციები	50
სარეკომენდაციო ლიტერატურა მასწავლებლებისათვის	52

სახელმძღვანელოს დანიშნულება და სტრუქტურა

XI კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო შექმნილია ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით და ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებული სწავლებისთვისაა განკუთვნილი.

XI კლასის სახელმძღვანელო VII, VIII, IX, X კლასების სახელმძღვანელოების ორგანულ გაგრძელებას წარმოადგენს. ამავე დროს ის სწავლების ზედა საფეხურის (X — XII კლ.) მეორე სახელმძღვანელოა, რომელიც, ავტორთა კონცეფციის თანახმად, X კლასში დაწყებულ ქართული ლიტერატურის ისტორიულ კურსს აგრძელებს. შესაბამისად, სახელმძღვანელოში წარმოდგენილია XIX საუკუნის ქართული მწერლობა.

XI კლასის სახელმძღვანელო ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების იმ ერთიანი კონცეფციის ნაწილია, რომელიც საბაზო და საშუალო სკოლის საფეხურებს მოიცავს. კერძოდ, საბაზო საფეხურის ბოლო, IX კლასის, სახელმძღვანელოთი დაგვირგვინდა მიზანმიმართული, ანუ ე.წ. სტრატეგიული კითხვის ხერხებისა და ტექსტის მხატვრული ანალიზის ელემენტების შესწავლის პირველი ეტაპი, რომელიც სასკოლო განათლების ზედა საფეხურზე უფრო სერიოზული და რთული ამოცანების დასმის საშუალებას იძლევა. X კლასიდან კი დაიწყო ქართული ლიტერატურის ისტორიული კურსის შესწავლა იმ უნარ-ჩვევებზე დაყრდნობით, რომელთა მიზანმიმართულ განვითარებასაც უწყობდა ხელს სწავლების საბაზო საფეხურისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოები.

სახელმძღვანელოს სტრუქტურა

სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ლიტერატურული მასალა დაყოფილია თავებად ქრონოლოგიური და თემატური პრინციპის მიხედვით. თითოეული თავი ჩაფიქრებულია, როგორც გარკვეული პასუხი ეპოქის მიერ დასმულ კითხვებზე.

სახელმძღვანელო შედგება შესავლისა და ხუთი თავისაგან. ესენია:

შესავალი — ლიტერატურას შეფარებული ერი

I თავი. რომანტიზმი — საუკუნის სავიზიტო ბარათი

II თავი. ქართული თეატრის დაბადება

III თავი. ახალი თაობა

IV თავი. „ხევის საგა“, ანუ დაკარგული თავისუფლების ძიებაში

V თავი. მითოსთან დაბრუნება

XI კლასი
ქართული ენა და ლიტერატურა
სტანდარტი

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები

მიმართულება:		
ზეპირმეტყველება	კითხვა	წერა
<p>ქართ. XI. 1. მოსწავლეს შეუძლია საჯარო მოსხენების წარმოდგენა (ზეპირი გამოსვლა) კონკრეტული აუდიტორიის წინაშე კონკრეტული მიზნით.</p> <p>ქართ. XI. 2. მოსწავლეს შეუძლია საჯარო გამოსვლების მოსმენა და კრიტიკულად შეფასება.</p> <p>ქართ. XI. 3. მოსწავლეს შეუძლია ამოიცნოს და გამოიყენოს საჯარო გამოსვლის ეფექტიანობის გასაძლიერებელი საშუალებები.</p> <p>ქართ. XI. 4. მოსწავლეს შეუძლია ზეპირი კომუნიკაციის სტრატეგიების გამოყენება საჯარო გამოსვლის მომზადების დროს.</p>	<p>ქართ. XI. 5. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ეპოქის ტექსტების გაანალიზება მათში ასახული ინფორმაციის, თემების, იდეებისა და პრობლემემატიკის თვალსაზრისით.</p> <p>ქართ. XI. 6. მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს, როგორ გამოიყენება მხატვრული და არამხატვრული ტექსტის ელემენტები მისი ინტერპრეტაციის დროს.</p> <p>ქართ. XI. 7. მოსწავლეს შეუძლია მხატვრული ნაწარმოების ენობრივი საშუალებების გაანალიზება მათი ფუნქციონირების თვალსაზრისით.</p> <p>ქართ. XI. 8. მოსწავლეს შეუძლია კითხვის ეფექტური სტრატეგიების არჩევა და გამოყენება.</p>	<p>ქართ. XI. 9. მოსწავლეს შეუძლია მხატვრული ნაწარმოების წერილობით გაანალიზება.</p> <p>ქართ. XI. 10. მოსწავლეს სახის ესეის დანერა.</p> <p>ქართ. XI. 11. მოსწავლეს შეუძლია რეცენზიის დანერა ნაკითხულ წიგნზე ან მხატვრულ ნაწარმოებზე.</p> <p>ქართ. XI. 12. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ხასიათის არამხატვრული ტექსტების შეთხზვა.</p> <p>ქართ. XI. 13. მოსწავლეს შეუძლია ადეკვატურად გამოიყენოს სათანადო ენობრივგრამატიკული საშუალებები სხვადასხვა სახის ტექსტების შესაქმნელად.</p> <p>ქართ. XI. 14. მოსწავლეს შეუძლია წერის სტრატეგიების გამოყენება ნაწერის ორგანიზებისათვის.</p>

ნლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები

მიმართულება: **ზეპირმეტყველება**

ქართ. XI. 1. მოსწავლეს შეუძლია საჯარო მოხსენების წარმოდგენა (ზეპირი გამოსვლა) კონკრეტული აუდიტორიის წინაშე კონკრეტული მიზნით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- წინასწარ განსაზღვრავს საჯარო გამოსვლის მიზანს (აუდიტორიის ინფორმირება / დაინტერესება / გადარწმუნება / პროვოცირება...), არჩევს ტექსტის ტიპს, ენას და აგებს ზეპირი გამოსვლის ტექსტს კონკრეტული ამოცანის მიხედვით;
- ითვალისწინებს აუდიტორიას (ვინ არის მსმენელი, რა სოციალურ-კულტურული ინტერესები და ცოდნის დონე აქვს აუდიტორიას, რამდენად იცნობს იგი განსახილველ საკითხს და ა.შ.);
- წინასწარ მოფიქრებული გეგმის მიხედვით (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნები) გადმოსცემს სათქმელს;
- მკაფიოდ, ცხადად და გასაგებად აყალიბებს განსახილველ საკითხის არსს, პრობლემის განმსაზღვრელ ასპექტებს და საკუთარ მოსაზრებას;
- საუბრობს კონკრეტული თემის სპეციფიკის შესაბამისი ცნებებით, ტერმინებით, ფრაზებით, რომლებიც თავადაც კარგად აქვს გააზრებული და სხვებსაც აგებინებს (აზუსტებს, განმარტავს, პარალელს ავლებს და ა. შ.);
- საკუთარი მოსაზრების გასამყარებლად იყენებს ციტატებს მხატვრული ნაწარმოებებიდან, სამეცნიერო ლიტერატურიდან, ლიტერატურული კრიტიკიდან და სხვადასხვა საინფორმაციო რესურსს (ფაქ-

ტებს, ფრაგმენტებს ინტერვიუდან, სტატისტიკურ მონაცემებს, ბიბლიოთეკას, ინტერნეტს, აუდიო და ვიზუალურ მასალას და ა. შ.), რითაც ხელს უწყობს მთავარი იდეის გამოკვეთას;

- იყენებს სხვადასხვა სახის საორგანიზაციო მოდელებს (შედარება-შეპირისპირებას, ქრონოლოგიურ თანამიმდევრობას, სივრცულ განლაგებას, მიზეზ-შედეგობრიობას, განსაზღვრებას, მნიშვნელობის ხარისხს, პრობლემას და მის გადაწყვეტას);
- ასრულებს საკომუნიკაციო დავალებას იმიტირებულ სიტუაციებში (როლური თამაშები, თეატრალურ-იმპროვიზაციული წარმოდგენები, ინტერვიუს აღება და სხვ.).

ქართ. XI. 2. მოსწავლეს შეუძლია საჯარო გამოსვლების მოსმენა და კრიტიკულად შეფასება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ისმენს გამოსვლებს, მათში გამოთქმულ მოსაზრებებს, ახალ ინფორმაციას, დოკუმენტურ მასალას და გამოთქვამს საკუთარ შეხედულებას, თუ რამდენად დამაჯერებელია მათში გამოთქმული ჰიპოთეზები და ვარაუდები;
- გამოაქვს დასკვნა როგორც საკუთარი, ისე სხვების მსჯელობიდან და შენიშნავს მსგავსება-განსხვავებას;
- მსჯელობს იმაზე, რამდენად ლაკონიურად, მკაფიოდ და ეფექტურად არის გამოკვეთილი შესავალ ნაწილში ტექსტის ძირითადი იდეა, განსახილველი საკითხები, პრობლემატიკა;
- საუბრობს იმის შესახებ, რამდენად „ამართლებს“ ტექსტის ძირითადი ნაწილი იმ მოლოდინს, რომელიც მსმენელს უჩნდება შესავალი ნაწილის მიხედ-

ვით (მაგ., შესავალში დასმული რომელი საკითხი განიხილა მოსაუბრემ სრულად, რა იყო ბუნდოვანი და ფრაგმენტული, რა საკითხი დარჩა მოსაუბრის ყურადღების მიღმა და ა.შ.);

- ანალიზებს ზეპირ ტექსტში წარმოდგენილ დასკვნებს ტექსტის ძირითად ნაწილთან შესაბამისობის თვალსაზრისით (მაგ., რამდენად ლოგიკური ჩანს დასკვნები მოხსენების ძირითად ნაწილში მოყვანილი ფაქტების, მაგალითების, ციტატების, მოსაზრებების ფონზე).

ქართ. XI. 3. მოსწავლეს შეუძლია ამოიცნოს და გამოიყენოს საჯარო გამოსვლის ეფექტიანობის გასაძლიერებელი საშუალებები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს და იყენებს ზეპირი ენის რიტორიკულ საშუალებებს: ამა თუ იმ პიროვნების ან ფაქტის შთამბეჭდავად დახასიათება, დამაჯერებელი არგუმენტაციით მსმენელის დარწმუნება, კონკრეტული მოვლენის ან პიროვნების განსჯა (გამართლება / გამტყუნება, გამამართლებელი / გამამტყუნებელი არგუმენტის ან საბუთის მოძიება და წარმოდგენა, მოსმენილი ტექსტის ფარგლებში ტყუილის დადგენა და გამოაშკარავება);
- მსმენელის დაინტერესებისა და პროცესში ჩართვის მიზნით მიმართავს დიალოგურ მეტყველებას (რთავს მსმენელს მსჯელობის პროცესში, მიმართავს აუდიტორიას შეკითხვებით, მათ შორის - რიტორიკულით, აუდიტორიას გამოიწვევს შეკითხვების დასასმელად და ა. შ.);
- ამოიცნობს და მართებულად იყენებს აუდიტორიაზე ზემოქმედების სხვადასხვა ხერხს: გულწრფე-

ლობისა და პირდაპირობის ეფექტის შექმნა („მე თუ მკითხავთ...“, „სიმართლე რომ თქვას კაცმა...“, „რაც მართალია, მართალია...“), ფაქტებითა და არგუმენტებით იერიში, ფაქტების და არგუმენტების მარჯვედ / ეფექტურად გამოყენება და ა. შ.;

- არ არის ზედმეტად კატეგორიული და საკუთარი მოსაზრებების გამოხატვისას იყენებს ისეთ ფრაზებს, რომლებიც მრავალმხრივი ინტერპრეტაციის შესაძლებლობაზე მიანიშნებს: „მეორე მხრივ...“, „თუმცა...“, „შესაძლოა...“, „დაგეთანხმებით, მაგრამ...“, „მიუხედავად ამისა...“;
- აუდიტორიაზე ზემოქმედებისა და დამაჯერებლობის მისაღწევად ცდილობს თავისი გამოსვლის ბოლოს კიდევ ერთხელ ხატოვნად და ეფექტურად გაიმეოროს მთავარი სათქმელი.

ქართ. XI. 4. მოსწავლეს შეუძლია ზეპირი კომუნიკაციის სტრატეგიების გამოყენება საჯარო გამოსვლის მომზადების დროს.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ადარებს ერთმანეთს გამოყენებულ საინფორმაციო წყაროებს (მაგ., CD-ROM, ინტერნეტი, საენციკლოპედიო სტატია და საგაზეთო წერილი), შეაფასებს თითოეულს მოცემული მიზნის, სანდოობისა და ა.შ. თვალსაზრისით;
- ამზადებს ტექსტს წინასწარ, აუდიტორიის წინაშე გამოსვლამდე გადის რეპეტიციას და მოიპოვებს დამხმარე (მაგალითად, ვიზუალურ) მასალას საპრეზენტაციოდ;
- ძირითადი იდეისა თუ ინფორმაციის ანალიზისთვის მოიპოვებს საჭირო მასალას სხვადასხვა საშუალების (მაგ., თვალის გადავლების, ხელახალი წაკითხ-

ვის, ამონაწერების და შენიშვნების ამოკრების და სხვ.) გამოყენებით;

- ზეპირი გამოსვლის მოსმენისას იყენებს სხვადასხვა სტრატეგიას (მაგ., ჩაინიშნავს საყრდენ სიტყვებსა და ფრაზებს, შეადგენს გამოსვლის მოკლე გეგმას და სხვ.) მტკიცებულებათა ბუნების განსაზღვრისა და მსჯელობის თანმიმდევრულობის შეფასების მიზნით;
- იყენებს ჩანაწერებს (ანოტაციებს) ძირითადი და პერიფერიული იდეებისა და ინფორმაციის სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით დასახარისხებლად და თანამიმდევრობით დასალაგებლად;
- აუდიტორიის ყურადღების მისაპყრობად, საჭიროების შემთხვევაში, ჩაანაცვლებს წინასწარ მომზადებულ ტექსტს იმპროვიზებულით.

მიმართულება: **კითხვა**

ქართ. XI. 5. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ეპოქის ტექსტების გაანალიზება მათში ასახული ინფორმაციის, თემების, იდეებისა და პრობლემატიკის თვალსაზრისით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს იმაზე, თუ როგორ განსაზღვრავს კონკრეტული ეპოქა ლიტერატურულ თემებს, იდეებს, პრობლემატიკას და ინფორმაციის სპეციფიკურობას;
- აანალიზებს კონკრეტული ეპოქის დამახასიათებელ ნიშნებს და მათს გავლენას ლიტერატურულ ნაწარმოებში ასახული პრობლემის გადაჭრის გზებზე;
- აანალიზებს ერთი ეპოქის ტექსტებში ასახულ პრობლემებს, თემებს, იდეებს მსგავსება-განსხვავ-

ვების თვალსაზრისით;

- ადარებს ერთი და იმავე თემების, იდეების, პრობლემების ინტერპრეტაციას სხვადასხვა ეპოქის ტექსტებში და მსჯელობს მსგავსება-განსხვავებაზე;
- შეაფასებს ეპოქისთვის დამახასიათებელ თემებს, იდეებსა და პრობლემებს ამავე ეპოქის სოციალურ-კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით;
- ამოიცნობს კონკრეტული ეპოქისთვის დამახასიათებელ თემებს, იდეებსა და პრობლემებს სხვადასხვა ნაწარმოებში და შეაფასებს ამავე ეპოქისთვის დამახასიათებელი ღირებულებებისა და ფასეულობების კონტექსტში.

ქართ. XI. 6. მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს, როგორ გამოიყენება მხატვრული და არამხატვრული ტექსტის ელემენტები მისი ინტერპრეტაციის დროს.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს ტექსტის ორგანიზების თავისებურებებზე;
- ლიტერატურული ჟანრების სპეციფიკური ნიშნების ამოცნობის საფუძველზე განსაზღვრავს ნაწარმოების ჟანრს;
- პოლიჟანრულ ნაწარმოებში ამოიცნობს სხვადასხვა ჟანრის ნიშნებს;
- განასხვავებს ეპიკურ და სცენურ თხრობას, მსჯელობს მათს თავისებურებებზე;
- გამოყოფს ტექსტში მხატვრული კონფლიქტის განვითარების საფეხურებს (კვანძის შეკვრა, მოქმედების განვითარება, კულმინაცია, კვანძის გახსნა);
- მსჯელობს ნაწარმოების სტრუქტურული ელემენტების (ექსპოზიცია, პროლოგი, ეპილოგი, რეტროსპექცია) დანიშნულებაზე.

ქართ. XI. 7. მოსწავლეს შეუძლია მხატვრული ნაწარმოების ენობრივი საშუალებების გაანალიზება მათი ფუნქციონირების თვალსაზრისით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს მხატვრული ნაწარმოების სტილის განმსაზღვრელი ენობრივი ფიგურების ფუნქციის შესახებ: ფონოლოგიური ფიგურები (ალიტერაცია, ასონანსი), სემანტიკური ფიგურები (მეტაფორა, ევფემიზმი, მეტონიმია), სინტაქსური ფიგურები;
- აკავშირებს ლექსის რიტმულ ფორმას ემოციურ ინტონაციასთან;
- ამოიცნობს რითმისა და რიტმის ფუნქციას ბგერწერითი ეფექტისა და ლექსის განწყობის შესაქმნელად;
- პოულობს ლექსში ევფონიის შექმნის საშუალებებს;
- მსჯელობს მხატვრულ ტექსტში შინაარსის გადმოცემის სხვადასხვა ენობრივ და მხატვრულ საშუალებაზე;
- აანალიზებს მხატვრული შინაარსის მქონე ფრაზებს, რომლებიც ენობრივად გაუგებარია და „გაშინაარსება“ ხდება იმ ასოციაციებითა თუ რემინისცენციებით, რომელთაც ქმნის ლექსის ბგერწერითი და სხვა ეფექტები (მაგ., ამ ტიპისა: „მეთოვოს, მეთოვოს კედლებს ფარშავანგები,...“);
- მსჯელობს მხატვრული შინაარსის იმ ფორმაზე, რომელიც ენობრივი ნონსენსის მეშვეობით მიიღება (მაგ. ამ ტიპისა: „დისაგანცა უფრო დესი,...“).

ქართ. XI. 8. მოსწავლეს შეუძლია კითხვის ეფექტური სტრატეგიების არჩევა და გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- განსაზღვრავს კითხვის მიზანს და იყენებს შესაბამის სტრატეგიებს: მოინიშნავს საკითხებს, რო-

მელთა დაზუსტებას, უკეთ გაცნობას ისურვებდა მომავალში, განიხილავს ეპოქის შესახებ მისთვის ნაცნობ ინფორმაციას;

- მონიშნავს ნაწარმოებში ეპოქისათვის დამახასიათებელ ლექსიკას და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ყოფისთვის დამახასიათებელ პასაჟებს;
- იყენებს სხვადასხვა სტრატეგიას შესწავლითი კითხვის დროს უცნობი სიტყვის მნიშვნელობის გასაგებად (კონტექსტი, სიტყვათა აგებულების ცოდნა, ლექსიკონი);
- ადგენს ლექსიკონს და განმარტავს უცნობი სიტყვების მნიშვნელობას.

მიმართულება: **წერა**

ქართ. XI.9. მოსწავლეს შეუძლია მხატვრული ნაწარმოების წერილობით გაანალიზება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- განსაზღვრავს ნაწარმოების თემას და იდეას;
- მსჯელობს მის კომპოზიციურ თავისებურებაზე და სტრუქტურული ელემენტების (ექსპოზიციის, პროლოგის, ეპილოგის) დანიშნულებაზე; სათანადოდ იყენებს წერის პროცესში თავის ცოდნას;
- აანალიზებს პერსონაჟთა სახეებს, აჯგუფებს კონფლიქტთან მიმართებით და განსაზღვრავს მათს როლს სიუჟეტის განვითარებაში;
- მსჯელობს ავტორის პოზიციისა და იმის შესახებ, როგორ გამოიხატება ეს პოზიცია ნაწარმოებში;
- აანალიზებს ტექსტს მხატვრულ-გამომსახველობითი თვალსაზრისით (როგორ ქმნის ავტორი თხრობაში განწყობას, პერსონაჟთა სახეებს; რამდენად ეფექტურია ნაწარმოების სტილი და ენა; მსჯე-

ლობს ლექსის რიტმის, რითმისა და ბგერწერული ეფექტების შესახებ);

- აკავშირებს მხატვრულ ნაწარმოებს ისტორიულ კონტექსტთან.

ქართ. XI. 10. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის ესეის დაწერა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- წერს ესეის, რომელშიც პირად ან ლიტერატურულ გამოცდილებაზე დაყრდნობით მსჯელობს მოცემული თემის, პრობლემების შესახებ (ამტკიცებს / უარყოფს, გამოთქვამს ვარაუდს, ადარებს, ავლებს პარალელებს);
- წერისას იყენებს მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებს, რომელთა საშუალებითაც უკეთ წარმოაჩენს თავის შემოქმედებით, ესთეტიკურ დამოკიდებულებას ტექსტისადმი;
- მოცემული თემის შესახებ მოიძიებს, აფასებს და შეარჩევს შესაბამის წყაროებს, ლიტერატურულ პარალელებს, იხსენებს ცხოვრებისეულ ფაქტებს და სხვ.;
- განიხილავს პერსონაჟის ხასიათს, ქცევის მოტივს, ღირებულებებსა და ფასეულობებს (ფსიქოლოგიური პორტრეტი);
- წერს ლიტერატურულ ესეის, რომელშიც ახასიათებს პერსონაჟს ან განიხილავს ნაწარმოებში ასახულ პრობლემას;
- განიხილავს ნაწარმოებში ასახულ პრობლემას, რისთვისაც იყენებს ლიტერატურულ ან ცხოვრებისეულ პარალელებს;
- წერს ესეის შემოქმედებითი თვითგამოხატვისთვის, განწყობილებების, შთაბეჭდილებების, ემოციების და ა. შ. გადმოსაცემად.

**ქართ. XI. 11. მოსწავლეს შეუძლია რეცენზიის დაწერა
წაკითხულ წიგნზე ან მხატვრულ ნაწარმოებზე.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- განიხილავს წაკითხულ ტექსტს პირადი და ლიტერატურული გამოცდილების კონტექსტში;
- წარმოადგენს ნაწარმოებში ასახულ პრობლემას და აყალიბებს საკუთარ შეხედულებებს პრობლემის გადაჭრის ავტორისეულ ვარიანტზე;
- აკრიტიკებს ან იზიარებს ავტორის თვალსაზრისს სათანადო არგუმენტების მოშველიებით;
- ანალიზებს მისთვის მნიშვნელოვან და საინტერესო საკითხებს, რისთვისაც იყენებს სხვადასხვა რესურსს: ციტატებს ლიტერატურულ-კრიტიკული თხზულებებიდან, ეპიზოდებს ანალოგიური ან მსგავსი პრობლემის შემცველი ნაწარმოებიდან და სხვ.

**ქართ. XI. 12. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ხასიათის
არამხატვრული ტექსტების შეთხზვა.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- წერს პირად და ოფიციალურ წერილებს სათანადო მოდელების გამოყენებით და იყენებს შესაბამისი დარგის პროფესიულ ტერმინოლოგიას;
- წერს ჩატარებული სამუშაოს (მაგალითად, პროექტის, ღონისძიების, პრეზენტაციის და სხვ.) ანგარიშს;
- წერს სასწავლო ღონისძიებების ოქმებს სათანადო სქემისა და სტანდარტის გამოყენებით;
- წერს საინფორმაციო ხასიათის მიმოხილვას სხვადასხვა ასაკის, ინტერესების, ცოდნის დონისა და ა. შ. აუდიტორიისათვის;
- წერს ე. წ. CV-ს.

ქართ. XI. 13. მოსწავლეს შეუძლია ადეკვატურად გამოიყენოს სათანადო ენობრივ-გრამატიკული საშუალებები სხვადასხვა სახის ტექსტების შესაქმნელად.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ადეკვატურად იყენებს თხრობითი, მსჯელობითი და აღწერითი ხასიათის ტექსტისთვის დამახასიათებელ ზმნა-შემასმენლის ფორმებს, ავტორისეული პოზიციის გამომხატველ დამხმარე ზმნებს, გაიაზრებს და აგებს თხრობითი (აღწერითი, მსჯელობითი) ხასიათის ტექსტისთვის დამახასიათებელ სინტაქსურ კონსტრუქციებს და ამ კონსტრუქციების კავშირებს, ზმნა-შემასმენლის დრო-კილოთა ფორმებს, ჩართულ სიტყვებსა და გამონათქვამებს, ანაფორულ ნაცვალსახელებსა და ზმნიზედებს, სიტყვის ლექსიკურ და სემანტიკურ განმეორებებს, სინონიმურ და ანტონიმურ ჩანაცვლებებს;
- სათანადოდ იყენებს ფუნქციურ სტილთა შესაძლო მონაცვლეობას კონტამინაციური ტექსტის ფარგლებში, როცა ერთმანეთს ენაცვლება თხრობა, მსჯელობა, აღწერა;
- ენობრივი და სტილური საშუალებების გათვალისწინებით, განსხვავებული ფორმით გადმოსცემს მთავარ სათქმელს (მაგ. როლური ტექსტის სახით ჩანერს თხრობით ტექსტს ან პირიქით, როლურ ტექსტს გადააკეთებს თხრობით ტექსტად);
- განარჩევს და შესაბამისი ენობრივ-გრამატიკული საშუალებების გამოყენებით წერილობით ტექსტში წარმოადგენს ინფორმაციას, კომენტარს, პროგნოზს, ვარაუდს, ეჭვს და ა.შ.

ქართ. XI. 14. მოსწავლეს შეუძლია წერის სტრატეგიების გამოყენება ნაწერის ორგანიზებისათვის.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- განსაზღვრავს მიზანს, აუდიტორიას და ამის შესაბამისად ირჩევს სტრატეგიას;
- გეგმავს და წერს შავ ვარიანტს;
- წერილობითი ტექსტის შესაქმნელად წინასწარ მოიპოვებს დამხმარე მასალას;
- აყალიბებს სათქმელს თანმიმდევრობით;
- იყენებს ჩანაწერებს ძირითადი და პერიფერიული იდეების / ინფორმაციის სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით დასახარისხებლად და თანმიმდევრობით დასალაგებლად;
- შავად შესრულების შემდეგ გადაამუშავებს ნაწერს (გადახედავს კრიტიკული თვალით; ამოიღებს, ჩაამატებს, გადაადგილებს მონაკვეთებს იმის მიხედვით, არის თუ არა სათქმელი ლოგიკურად დალაგებული; არის თუ არა შესავალი და დასკვნა ეფექტური; არის თუ არა კავშირი წინადადებებსა და აზრებს, ტექსტის ცალკეულ ნაწილებს შორის; მიესადაგება თუ არა ტექსტი სათაურს);
- საბოლოო ვარიანტის რედაქტირების დროს ასწორებს გრამატიკულ, პუნქტუაციურ და ორთოგრაფიულ შეცდომებს.

**საშუალო საფეხურის (X-XII კლასების)
სავალდებულო ლიტერატურა**

**(ქვემოთ წარმოდგენილი ჩამონათვალი შეადგენს
საშუალო საფეხურისათვის განკუთვნილი მთლიანი
შინაარსის 60 პროცენტს)**

1. იაკობ ცურტაველი – „შუმანიკის წამება“;
2. იოვანე საბანისძე – „აბოს წამება“;
3. გიორგი მერჩულე – „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, 12 ეპიზოდი: 1. გრიგოლის ცხოვრება სასულიერო მოღვაწეობის დაწყებამდე; 2. ზენონის ეპიზოდი; 3. გრიგოლი და გაბრიელ დაფანჩული; 4. გრიგოლისა და აშოტ კურაპალატის პირველი შეხვედრა; 5. საბა იმხნელისა და ბაგრატ კურაპალატის დიალოგი; 6. გრიგოლი დასავლეთ საქართველოში; 7. გრიგოლის შეხვედრა დედასთან; 8. ჯავახეთის საეკლესიო კრება; 9. ეფრემ მანყვერელის ღვაწლი; 10. რომანული ეპიზოდები (აშოტი, ადარნერსე); 11. ცქირის ეპიზოდი; 12. გრიგოლის აღსასრული.
4. შოთა რუსთაველი – „ვეფხისტყაოსანი“: „დასაწყისიდან“ „ტარიელის თათბირის“ ჩათვლით; „დასასრული“.
5. სულხან-საბა ორბელიანი – „ნიგნი სიბრძნე სიცრუისა“; ლეონის თავგადასავალი; იგავ-არაკები: „მეფე ხორასანისა“, „ძუნწი დიდვაჭარი“, „უგუნური მცურავი“, „სამნი ბრმანი“, „მეფუნდუკე და დიდვაჭარი“;
6. დავით გურამიშვილი – „დავითიანი“: „ქართლის ქირი“ (ისტორიული ნარატივი); „კაცისა და სანუთროს ცილობა“; „ვაი, რა კარგი საჩინო“, „სახით სიტყვა-შუენიერო“, „სანუთრო სოფლის სამდურავი“;
7. ალექსანდრე ჭავჭავაძე – „გოგჩა“;
8. გრიგოლ ორბელიანი – „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, „სალამო გამოსალმებისა“, „პასუხი შვილთა“;
9. ნიკოლოზ ბარათაშვილი – „მერანი“, „შემოღამება“

- მთანმინდაზედ“, „ხმა იდუმალი“, „სულო ბოროტო“, „ვპოვე ტაძარი“;
10. ილია ჭავჭავაძე – „მგზავრის ნერილები“, „კაცია-ადა-მიანი?!“, „პასუხის პასუხი“, „ოთარაანთ ქვრივი“, „განდეგილი“, „ბედნიერი ერი“, „ორიოდე სიტყვა“ (მითითებული სახით), „ზოგიერთი რამ“ (მითითებული სახით);
 11. აკაკი წერეთელი – „გამზრდელი“, „ქებათა ქება (სხვებმან სვან ღვინო...), „აღმართ-აღმართ“;
 12. ალექსანდრე ყაზბეგი – „ხევსბერი გოჩა“;
 13. ვაჟა-ფშაველა – „აღუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“, „ბახტრიონი“, „რამ შემქმნა ადამიანად“, „კრიტიკა ბ. ივ. ვართაგავასი“ (მითითებული სახით), „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ (მითითებული სახით);
 14. დავით კლდიაშვილი – „სამანიშვილის დედინაცვალი“;
 15. მიხეილ ჯავახიშვილი – „ჯაყოს ხიზნები“;
 16. ნიკო ლორთქიფანიძე – „შელოცვა რადიოთი“;
 17. კონსტანტინე გამსახურდია – „დიდოსტატის მარჯვენა“;
 18. პოლიკარპე კაკაბაძე – „ყვარყვარე თუთაბერი“ (I და IV მოქმ.);
 19. გალაკტიონ ტაბიძე – „თოვლი“, „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“, „მშობლიური ეფემერა“, „შერიგება“, „მე და ღამე“, „მთანმინდის მთვარე“, „ქებათა-ქება ნიკორწმინდას“;
 20. ტიცვიან ტაბიძე – „ლექსი მენყერი“, „ანანურთან“;
 21. გიორგი ლეონიძე – „ყივიჩალის პაემანი“, „ნინოწმინდის ღამე“;
 22. გურამ რჩეულიშვილი – „ალავერდობა“;
 23. ანა კალანდაძე – „მკვდართა მზე ვარ“ (...ორი ქვეყნის, ორი ქვეყნის საზღვრად ვდგევარ...);
 24. გურამ დოჩანაშვილი – „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“;
 25. ჯემალ ქარჩხაძე – „იგი“.

**ამონარიდებისა და ფრაგმენტების მითითებები
საბაზო და საშუალო საფეხურის სავალდებულო
ლიტერატურისათვის**

სულხან-საბა ორბელიანი:

„მოგზაურობა ევროპაში“, ს.-ს. ორბელიანი,
თბზულებანი, ტ. 1, თბ., 1959.

ფრაგმენტი 1.

დასაწყისი: „ნამოვედით სადილს უკან...“ (გვ. 196, სტრ.
5 – ქვემოდან) – დასასრული: „...და ნამოვედით...“ (გვ.
197, სტრ. 21).

ფრაგმენტი 2.

ა) დასაწყისი: „მალთელები...“ (გვ. 231, სტრ. 19) –
დასასრული: „...ქართული...“ (გვ. 231, სტრ. 25).

ბ) დასაწყისი: „მალთისეღნი...“ (გვ. 237, სტრ. 2 –
ქვემოდან) – დასასრული: „...მე დაუშაღე...“ (გვ. 238,
სტრ. 6).

დავით გურამიშვილი:

„სწავლა მოსწავლეთა,, დავით გურამიშვილი,
დავითიანი, თბზულებათა სრული კრებული, გამომც.
„სახელგამი,, თბ., 1955 წ. (სტრ. 20, 25-29, 23, 30-37).

ნიკოლოზ ბარათაშვილი:

წერილი მაიკო ორბელიანისადმი, ნიკოლოზ ბარათაშ-
ვილი, თბზულებათა სრული კრებული, პეგ. თბ. 2005.
თავიდან (გვ. 83) შემდეგ სიტყვებამდე: „...მეტადრე თუ
ბევრ ამბებსაც მომწერ“ (გვ. 84).

ილია ჭავჭავაძე:

„ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის
კაზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმნაზედა“, ილია ჭავ-
ჭავაძე, თბზულებათა სრული კრებული ოც ტომად,
ტ. 5, თბ., გამომც. „მეცნიერება“, 1991. სიტყვებიდან:

„ჩვენ ყველანი ქართულ ენის ხმარებაში...“ (გვ. 30) სტატიის ბოლომდე, შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „... ჩვენ ვინა და კალამი ვინა?“ (გვ. 31).

„ზოგიერთი რამ“, ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. 5, თბ. გამომც. „მეცნიერება“, 1991. თავი III მთლიანად – სიტყვებიდან: „პატარა დალაგებით რომ დაუფიქრდე...“ (გვ. 162) შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „...შვილი აღარა ჰსწოვს“ (გვ. 163); V თავი მთლიანად – სიტყვებიდან: „იმერელი, გურული, მეგრელი...“ (გვ. 164) შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „...ჩვენ – იშვიათი“ (გვ. 165); VII თავის ორი აბზაცი სიტყვებიდან: „მამული!.. ამ სიტყვის...“ (გვ. 166) შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „...საყვეარში ერთად ბმულა“ (გვ. 167) და VIII თავი მთლიანად სიტყვებიდან: „ზღვა კოვზით არ დაიღვევო...“ შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „...თავის მოძმეს გაეხმაუროს მაინცა“ (გვ. 168).

„ერი და ისტორია“, ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. 10, თბ. „ილიას ფონდი“, 2007. დასაწყისი სიტყვებიდან: „ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს“ (გვ. 385) იმავე გვერდზე, აბზაცის ბოლომდე, შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „...ყოველივე ბუნებური კანონი...“; სიტყვებიდან: „... შვილმა უნდა იცოდეს“ (გვ. 387) შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „...მის მიბაძვას ეცადოს“ (გვ. 389).

„შინაური მიმოხილვა“, (სიტყვა გლახობისადმი მიმართული წინამძღვრიანთკარში სკოლის გახსნაზე ჩართულია შინაურ მიმოხილვაში), ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. 7, თბ. „ილიას ფონდი“, 2005. სიტყვებიდან: „ღმერთმა რომ ქვეყანა გააჩინა“ (გვ. 172) შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „...უფრო ბლომად ამოიღებო“ (გვ. 173) და ერთი აბზაცი 175-ე გვერდზე სიტყვებიდან: „...ამიტომ

ვამბობ...“ აბზაცის ბოლომდე, შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „...დაიწყებს ლაპლაპს...“

„ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე“, ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. XIII, თბ. „ილიას ფონდი“, 2007. სიტყვებიდან: „საბა ორბელიანმა რომ თავისი ზღაპრები დასწერა...“ (გვ. 177) შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „...ყურმოჭრილ მსახურად უხდის სიბრძნესა“ (გვ. 180).

„რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“ ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. XIII, თბ. „ილიას ფონდი“, 2007. დასაწყისი სიტყვებიდან: „...აჰა, კიდევ ერთი ახალი წელიწადი!...“ (გვ. 492) აბზაცის ბოლომდე, შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „... რით გაგახაროთ?“,; სიტყვებიდან: „...რა არ გადაგვხდენია თავს...“ (გვ. 493) სტატიის ბოლომდე, შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „...მაინც აღარა სთქვას: რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“ (გვ. 496).

იაკობ გოგებაშვილი:

„შინაური მიმოხილვა“, იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. I, თბ. 1955. სიტყვებიდან: „დიაღ, სუსტია ჩვენში...“ (გვ. 362) იქვე, შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „თავიანთ ქვეყნის ბედნიერება“ და სიტყვებიდან: „ჩვენში პატრიოტობა...“ (გვ. 363) იქვე, შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „ევროპის დემოკრატიისა...“

„ბურჯი ეროვნებისა“, იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. II, საქ. სსრ გან. სამინ. პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნ. ინსტიტუტი, თბ. 1954. XIII თავი სიტყვებიდან: „ხოლო ერის გადაგვარება...“ (გვ.239) აბზაცის ბოლომდე შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „დიდებულს სალაროს...“

„რანი ვიყავით გუშინ“, იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. I, ტ. II, საქ. სსრ გან. სამინ. პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნ. ინსტიტუტი, თბ. 1955. სიტყვებიდან: „ჩვეულებრივის აზრით...“ (გვ. 339) იქვე, შემდეგი

სიტყვების ჩათვლით: „...ამტყუნებს ამ შეხედულებასა“ და სიტყვებიდან: „მართალია, მაშინდელი ჩვენი...“ (გვ. 343) შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „...დადგინება საქართველოში რესპუბლიკისა“ (გვ. 344).

ვაჟა-ფშაველა:

„ნიჭიერი მწერალი“, ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1964, ტ. IX, სიტყვებიდან: „მწერალს, უპირველეს ყოვლისა...“ (გვ. 294) შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „...ინდივიდუალობის ბრალია“ (გვ. 295) და გვ. 298 სიტყვებიდან: „ვინ არის ნიჭიერი მწერალი? ვისაც დიდად უყვარს ადამიანი...“ ბოლომდე, შემდეგ სიტყვებამდე: „ყალბი იყავ და ყალბად მაჟღერებდიო“.

„ენა“, ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1964, ტ. IX, სიტყვებიდან: „რას ჰქვიან ენის ცოდნა?..“ (გვ. 186) შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „...უმნიკვლოდ ქართული ენა“ (გვ. 187).

„კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“, ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1964, ტ. IX, თავიდან, სიტყვებიდან: „ზოგს ჰგონია, რომ...“ (გვ. 252) შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „...გამეფებულა დედამინის ზურგზე“ (გვ. 253) და ბოლო ორი აბზაცი, სიტყვებიდან: „...პატრიოტიზმი უფრო გრძნობის საქმეა“ (გვ. 254) ბოლომდე, შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „...მთელის კაცობრიობის განვითარებისა“ (გვ. 254).

„კრიტიკა ბ. იბ. ვართაგავასი“, ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1964, ტ. IX, თავიდან (გვ. 361) შემდეგი სიტყვების ჩათვლით: „...რომელიმე მნიგნობრული ამბები“ (გვ. 367) და სიტყვებიდან: „...ნუთუ ჩემი ნაწერები ამ მომავალ...“ (გვ. 369) შემდეგი

სიტყვების ჩათვლით: „საქართველოს მომავალი სვე-
ბედი“ (გვ. 369).

როგორც აღვნიშნეთ, XI კლასის სახელმძღვანელოში
საშუალო საფეხურის (X—XII კლასები) სავალდებულო
ლიტერატურიდან შეტანილია XIX საუკუნის ლიტერატურა;
ძველი ქართული მწერლობა ჩვენ X კლასში გვაქვს წარ-
მოდგენილი, XX საუკუნის მწერლობა კი XII — კლასში.

X, XI, XII კლასების სახელმძღვანელოებში პროგრამით
გათვალსწინებულ სავალდებულო ლიტერატურას
დაემატა ავტორთა ინიციატივით შერჩეული ტექსტები,
რომელთა ხვედრითი წილი, ცხადია, არ აღემატება
მთლიანი პროგრამის 40%-ს, რომელიც ავტორთა მიერ
შერჩეული მასალისთვის იყო გამოყოფილი.

**სახელმძღვანელოს შესატყვისი როლს ეროვნულ სასწავლო
ბეზმასთან შინაარსისა და მიზნების რუკა**

სწავლების შინაარსი (მხატვრული და არამხატვრული ტიქსტები)	სწავლების მიზანი	სასწავლო დროის ხან- გროლივობა (აკადემიური საათების რაოდენობა)	ეს-ს შესაბამისი შედეგები
<p>შესავალი — ლიტერატურას შეფარებული ერი.</p> <p>1. ი. ჭავჭავაძე — წერილები ქართულ ლიტერატურაზე (ფრაგმენტი); 2. კაბაშიძე — ეტიუდები მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ (ფრაგმენტი)</p>	<p>სხვადასხვა პერიოდის არამხატვრული ტექსტების წაკითხვა-განაღვივებისა და მათგან საჭირო ინფორმაციის ამოკრების უნარის განვითარება; კრიტიკული აზროვნებისა და მსჯელობის უნარის განვითარება. კერძალური და ვიზუალური (ე.ახვლედიანის ნახატი) ტიქსტების ერთმანეთთან დაკავშირება.</p>	<p>1 აკადემიური საათი</p>	<p>XI.2,5</p>

<p>I თავი. რომანტიზმი — საუკუნის საკრიტიკო ბარათი</p> <p>რომანტიზმი (თეორიული სტატია);</p> <p>ალ. ჭავჭავაძის ბიოგრაფია; ლექსები: ვისაც გსურთ; ვაჰ, დრონი, დრონი; გოგრა; სიყვარულო, ძალსა შენსა. დატყვევებული ქალი სატროფო ფერნერასა და პოეზიაში (საინფორმაციო ტექსტი); ნანგრევების ესთეტიკა და „გოგრა“ (საინფორმაციო ტექსტი);</p> <p>გრ.ორბელიანის ბიოგრაფია (საინფორმაციო ტექსტი); ლექსები: იარაღის; თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში; საღამო მეფის სახე ბეთანიის მუხამბაზი; პასუხი შვილთა.</p> <p>ნ.ბარათაშვილის ბიოგრაფია (საინფორმაციო ტექსტი); ლექსები: შემოღამება მთანმინდაზე; მერანი; ხმა იდუმალი; სულ ბოროტი; ჩემი ლოცვა; ვკოვე ტაძარი; რად ჰყვედრი კაცსა; რომანტიკოსთა ქართული (ლინგვისტური ტექსტი);</p> <p>დამატებითი საკითხავი: მ.ჯავახიშვილის — ალ.ჭავჭავაძის სალონი (ნაწყვეტი რომანიდან „არსენა მარაბდელი“)</p>	<p>სხვდასხვა ეპოქის ვერბალური (მხატვრული და არამხატვრული) და ვიზუალური ტექსტების ანალიზის, ინტერპრეტაციისა და შედარების უნარის განვითარება; ისტორიული და ლიტერატურული კონტექსტის გაზრება; კონკრეტული ტექსტის საერთო ლიტერატურულ და ისტორიულ კონტექსტში გაზრების უნარ-ჩვევის განვითარება; კრიტიკული აზროვნებისა და მსჯელობის უნარის განვითარება; საკუთარი აზრის წერილობით გამოთქმის უნარის განვითარება. კვლევა-ძიებისა და ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარება.</p>	<p>დაახ. 32 აკად. საათი</p>	<p>XI. 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 12, 13, 14.</p>
--	--	-----------------------------	---

<p>II თავი. ქართული თეატრის დაარსება ქართული თეატრის ისტორიიდან (საინფორმაციო ტექსტი); გ-ერისთავის ბიოგრაფია (საინფორმაციო ტექსტი); კომედია (საინფორმაციო ტექსტი); გაყრა (კომედია); ტექსტის ენა: მრავალგვარი ქართული, ენის ეკოლოგია, აკვირებულნი გამონათქვამები, საჟმის ქალაქდების ენა.</p>	<p>დრამატული ჟანრის ნაწარმოების ინტერპრეტირება საერთო ისტორიულ- ლიტერატურულ კონტექსტში; მხატვრული ნაწარმოების ენობრივი საშუალებების ანალიზის უნარის განვითარება; უნარის უნარის განვითარება (მხატვრული ტექსტის შექმნა დასახული ამოცანის გათვალისწინებით)</p>	<p>დაახ. 7 აკად. საათი</p>	<p>XI. 5,7,8,13,14</p>
---	--	---------------------------------	-----------------------------

<p>III თავი — ახალი თაობა</p> <p>რელიგია (საინფორმაციო ტექსტი);</p> <p>ი.ჭავჭავაძე — ბიოგრაფია. ლექსები: მას აქეთ, რაკი; პასუხის პასუხი; ბედნიერი ერი; როდემდის, პოემა: განდევნილი. პროზაული ნაწარმოებები: მეზავრის წერილები; კაცია-ადამიანი; ოთარაანთ ქვრივი. პუბლიცისტური წერილები: ზოგიერთი რამ და ორიოდე სიტყვა... საინფორმაციო ტექსტები: ძველი და ახალი თაობის დაპირისპირება; გიორგიდან ოთარაანთ ქვრივამდე; ოთარაანთ ქვრივი საერთო ტიპთა გალერეაში.</p> <p>აკ. წერეთელი: ბიოგრაფია. ლექსები: ჩანგური; აღმართ-აღმართ; ჭალარა; სულიკო; ქებათა-ქება; რაც არ ინვის, არ ანათებს. პოემა: გამზრდელი.</p> <p>ახალი თაობის ენა (ლინგვისტური ტექსტი)</p>	<p>მხატვრული და არამხატვრული ტექსტების ინტერპრეტაციის უნარის განვითარება; კონკრეტული ტექსტის საერთო ლიტერატურულ და ისტორიულ კონტექსტთან დაკავშირება; თეორიული ცოდნის გამოყენება კონკრეტული ნაწარმოების ინტერპრეტაციის დროს; მსჯელობის უნარის განვითარება; წერის უნარის განვითარება (მხატვრული ნაწარმოების ანალიზი; არამხატვრული ტექსტის შექმნა); ტექსტების შედარებით ანალიზის უნარის განვითარება.</p>	<p>სულ დაახ. 65 საათი: ი.ჭავჭავაძის ბლოკი — 45 საათი; აკ. წერეთლის ბლოკი — 20 საათი.</p>	<p>XI. 1, 5, 6, 7, 8, 9, 10, 12, 13, 14</p>
--	---	--	---

<p>IV თავი — ხევის საგა ანუ დაკარგული თავისუფლების ძიებაში</p> <p>ალ-ყაზბეგის ბიოგრაფია (საინფორმაციო ტექსტი); პეიზაჟი (საინფორმაციო ტექსტი);</p> <p>ხევისბერი გოჩა (მხატვრული ტექსტი);</p> <p>ფოლკლორული გადმოცემა და ლიტერატურული ნაწარმოები; ლიტერატურული პარალელი (ფრაგმენტები კრიტიკული წერილებიდან)</p>	<p>ისტორიულ თემაზე შექმნილი ნაწარმოების ინტერპრეტაცია</p> <p>თანამედროვე კონტექსტის გათვალისწინებით; მხატვრული ნაწარმოებისა და მისი ფოლკლორული კერსის შედარება; ნაწარმოების ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარის განვითარება; სხვისი აზრის კრიტიკული ანალიზის უნარის განვითარება; ნაწარმოების ენობრივი ელემენტების ანალიზის უნარის განვითარება; მხატვრული ტექსტის ელემენტების ინტერპრტირების უნარის განვითარება; ნერის უნარის განვითარება; კვლევა-ძიებისა და ჯგუფური მუშაობის უნარის განვითარება.</p>	<p>დაახ. 12 აკად. საათი</p>	<p>XI. 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 10, 12, 13, 14</p>
---	---	-----------------------------	---

<p>V. თავი — მითოსთან დაბრუნება. ვაჟა-ფშაველას ბიოგრაფია (საინფორმაციო ტექსტი).</p> <p>ლექსები: ღამე მთაში; არაგვს; კიდევაც ვნახავ ვაზაფხულს; სიმღერა; პროზა: მთანი მადალნი. პოემები: ალუდა ქეთელაური; სტუმარ-მასპინძელი; ბახტრიონი. პუბლიცისტური წერილები: კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი; პასუხი იპ. ვართაგავას.</p> <p>ფშაური ადათ-წესები და ვაჟა-ფშაველას პოეზია; „ალუდა ქეთელაური“ და ფშაველესტური მითოსი; მითოსთან დაბრუნება, ანუ როგორ გავიზნოთ „ბახტრიონის“ დასასრული; ვაჟა-ფშაველას პოემების ხალხური წყაროები (თეორიული და კრიტიკული ტექსტები)</p> <p>მწერლის ენა</p>	<p>ენობრივად და სტრუქტურულად რთული ტექსტების ინტერპრეტაციის უნარის განვითარება; ნაწარმოების ხალხური წყაროების ინტერპრეტაციის უნარის განვითარება; ნაწარმოების ქვეტექსტების (სიმბოლური და მითოსური პლანი) წაკითხვის უნარის განვითარება; მსჯელობისა და კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარება; წერის უნარის განვითარება; ნაწარმოების ენობრივი ინტერპრეტაციის უნარის განვითარება.</p>	<p>დაახ. 38 აკად. საათი</p>	<p>XI. 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 11, 12, 13, 14</p>
---	--	-----------------------------	--

სასწავლო მასალის წარდგენის ფაზები და გაკვეთილის დაგეგმვის ზოგადი პრინციპები

მეთოდულში ცნობილია სასწავლო მასალის წარდგენის შემდეგი ეტაპები, ანუ ფაზები:

- ა. მოტივაცია;
- ბ. საკითხის დასმა, ამოცანის განსაზღვრა;
- გ. ძირითადი სასწავლო მასალის დამუშავება;
- დ. ძირითადი მასალის გაცნობის შემდეგ (ან პარალელურად) შესასრულებელი სავარჯიშოები;
- ე. დამაგვირგვინებელ ეტაპზე შესასრულებელი სავარჯიშოები;
- ვ. დამოუკიდებელი სამუშაო.

ჩვენ ვცდილობდით თითოეული პარაგრაფი სწორედ ამ პრინციპზე აგვეგო, რაც ნათლად ჩანს პარაგრაფის სტრუქტურიდან. მასწავლებელმა უნდა დაეყოს პარაგრაფი გაკვეთილის ხანგრძლივობის შესატყვის მონაკვეთებად და განსაზღვროს თითოეული კონკრეტული გაკვეთილის მიზანი და აქტივობები.

გთავაზობთ გაკვეთილის დაგეგმვის ზოგად პრინციპებს: გაკვეთილის დაგეგმვისას მასწავლებელმა სამი კითხვა უნდა დაუსვას საკუთარ თავს:

1. რა შედეგს ველი ამ გაკვეთილისგან? ანუ რა ცოდნა და უნარ-ჩვევები უნდა შეიძინონ (განავითარონ) მოსწავლეებმა?
2. როგორ უნდა მივიღო სასურველი შედეგი?
3. როგორ გავიგო, რომ შედეგი მივიღე?

პასუხი პირველ კითხვაზე არის **გაკვეთილის მიზანი**; მეორე კითხვა გაკვეთილზე შესასრულებელი აქტივობების დაგეგმვაში დაგვეხმარება; მესამე კითხვა კი **შეფასების ფორმების** განსაზღვრისთვის არის საჭირო.

ამავე ეტაპზე უნდა განსაზღვროს მასწავლებელმა დაგეგმილი აქტივობების განსახორციელებლად საჭირო **აუცილებელი პირობები** ანუ რა უნდა იცოდნენ მოსწავლეებმა, რომ დასახული ამოცანის შესრულება შესძლონ (სჭირდებათ თუ არა მათ წინასწარ გარკვეული საკითხების დამუშავება ან ინფორმაციის მოძიება და სხვ.).

სასურველია, მასწავლებელმა წინასწარ განსაზღვროს აგრეთვე, რა **მასალა** დასჭირდება მას გაკვეთილის ჩასატარებლად (წიგნები, ციტატები, თვალსაჩინოება...).

ამის შემდეგ უკვე შესაძლებელია გაკვეთილის აღწერა.

სანიმუშოდ გთავაზობთ რამდენიმე გაკვეთილის სცენარს.

სანიმუშო გაკვეთილების სცენარები

გაკვეთილი I

გაკვეთილის თემა:

გიორგი ერისთავი, „გაყრა“ (I მოქმედება)

გაკვეთილის მიზანი

- უკვე არსებული ცოდნის გამოყენების უნარის შემოწმება;
- ფანტაზიის განვითარება;
- ჯგუფში მუშაობის უნარის განვითარება;
- საპრეზენტაციო უნარის განვითარება;
- მსჯელობის უნარის განვითარება;

აქტივობები

- თავის დასაწყისში მოცემულ ფრაზაზე მსჯელობა;
- ნასწავლი მასალის გახსენება ახალი ცოდნის დასაშენებლად;
- ვარაუდების გამოთქმა;
- კომედიის პერსონაჟებზე დაკვირვება და მათი სახასიათო ნიშნების ამოცნობა.

საჭირო რესურსები

სახელმძღვანელო

შეფასების ფორმა

- მასწავლებლის დაკვირვება მოსწავლეთა აქტივობასა და ქცევაზე; მასწავლებლის დაკვირვება მუშაობის პროცესზე.

გაკვეთილის მსვლელობა

- მასწავლებელი კითხვების მეშვეობით შეამოწმებს,

რა ინფორმაციას ფლობს კლასი ქართული თეატრის ისტორიის შესახებ (იგულისხმება, რომ ამ გაკვეთილის წინმსწრები უნდა იყოს შემდეგი საშინაო დავალება: მოსწავლეებს წაკითხული უნდა ჰქონდეთ სახელმძღვანელოში მოცემული სტატია „ქართული თეატრის ისტორიიდან,“ გიორგი ერისთავის ბიოგრაფია, ასევე შეიძლება მასწავლებელს დაევალებინა ქართული თეატრის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოძიება).

10 წუთი

- მოსწავლეები კლასში მასწავლებელთან ერთად განიხილავენ თავის ეპიგრაფად გატანილ ილიას ციტატას, რომლის ანალიზისთვისაც პასუხი გაეცემა რუბრიკაში „დავაკავშიროთ“ მოცემულ კითხვებს.
- შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვას: რომელია თქვენთვის ცნობილი (IX კლასიდან ან — ზოგადად) კომედია, რომელსაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და აქტუალობა? (პასუხი: „ყვარყვარე თუთაბერი“).

10 წუთი

- მონაფეები ინდივიდუალურად წაკითხავენ რუბრიკებს: „გავაანალიზოთ“ და „გამოვიყენოთ“. შემდეგ მასწავლებელი კვლავ ეკითხება კლასს: როგორ ფიქრობთ, კომედიის რომელ ტიპს განეკუთვნება „ყვარყვარე თუთაბერი“ — სახასიათოს თუ სიტუაციურს?
- შემდეგ კლასი გადადის უშუალოდ „გაყრის“ ტექსტზე მუშაობაზე. მოსწავლეები დამოუკიდებლად კითხულობენ ინფორმაციას მოქმედი პირების შესახებ.
- მასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად. ჯგუფებს ეძლევათ დავალება, სათაურსა და მოქმედ პირთა

ვინაობაზე დაყრდნობით გამოთქვან ვარაუდები, რის შესახებ შეიძლება იყოს საუბარი კომედიაში (ანუ: ვინ ვის ეყრება, რა როლი შეიძლება შეასრულოს ამ სიტუაციაში ვაჭარმა, „სუდის სეკრეტარმა“, მოურავმა და ა.შ.).

- პრეზენტაცია.

15 ნუთი

- პრეზენტაციის შემდეგ მასწავლებელი ან რომელიმე მოსწავლე კითხულობს | გამოსვლას, კლასი აკვირდება, რამდენად გამართლდა მათი ვარაუდები.

10 ნუთი

საშინაო დავალება

- შინ წასაკითხად მონაფეებს ეძლევათ | მოქმედება ბოლომდე;
- მონაფეებს დაევალებათ ამოიწერონ მთავარ პერსონაჟთა სახასიათო ნიშნები;
- გადახედონ და დაფიქრდნენ | მოქმედების ბოლოს სახელმძღვანელოში მოცემულ კითხვებზე, რომელიც მომდევნო გაკვეთილზე კლასში გაანალიზდება.

გაკვეთილი II

გაკვეთილის თემა:

ილია ჭავჭავაძე — ბიოგრაფია, რეალიზმი (სტატია სახელმძღვანელოდან).

გაკვეთილის მიზანი

- უკვე არსებული ცოდნის გამოყენების უნარის შემოწმება;
- კვლევის უნარის განვითარება;

- ჯგუფში მუშაობის უნარის განვითარება;
- საპრეზენტაციო უნარის განვითარება;
- მსჯელობის უნარის განვითარება;
- საინფორმაციო ტექსტიდან საჭირო ინფორმაციის ამოკრების უნარ-ჩვევის განვითარება.

აქტივობები

- თავის დასაწყისში მოცემულ ციტატაზე მსჯელობა;
- ილიას ბიოგრაფიაზე მუშაობა;
- ილიას შემოქმედების ძირითადი პრინციპების გახსენება;
- რეალიზმის, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობის, გაცნობა;
- რეალიზმისა და რომანტიზმის მსგავსება-განსხვავებების სქემის შედგენა.

საჭირო რესურსები

სახელმძღვანელო

შეფასების ფორმა

- მასწავლებლის დაკვირვება მოსწავლეთა აქტივობასა და ქცევაზე; მასწავლებლის დაკვირვება მუშაობის პროცესზე.

გაკვეთილის მსვლელობა

- კლასი მასწავლებელთან ერთად აანალიზებს პარაგრაფის დასაწყისში მოცემულ ილიას სიტყვებს: „მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი“... საანალიზოდ შესაძლოა მასწავლებელმა დასვას შემდეგი კითხვები:

რა ინფორმაციას გვანვდის ეს ფრაზა, რა არის მწერლის სათქმელი?

როგორ შეიძლება დახასიათდეს ილიას მრწამსი ამ ერთი ფრაზით?

10 წუთი

- მასწავლებელი ჯგუფებად დაყოფს კლასს, დაფაზე დახაზავს ცხრილს:

ვიცი	მინდა ვიცოდე	გავიგე

მასწავლებელი სთხოვს მონაფეებს, გაიხსენონ, რა იციან ილიას ბიოგრაფიიდან და რისი გაგება სურთ. ჯგუფები ავსებენ შესაბამის გრაფებს.

- პრეზენტაცია (გაანალიზება)
- შემდეგ მონაფეები ინდივიდუალურად კითხულობენ სახელმძღვანელოში მოცემულ ბიოგრაფიას და ავსებენ მესამე სვეტსაც.

15 წუთი

- გაკვეთილზე საუბარი ბუნებრივად გადადის ილიას შემოქმედებაზე. მასწავლებელი მოსწავლეებს გაახსენებს ილიას „პოეტს“ (ლექსი მოცემულია სახელმძღვანელოში).
- კლასში იმართება მსჯელობა თემაზე: რა მიაჩნია პოეტს შემოქმედის დანიშნულებად. გამოიკვეთება თეზისები და იწერება დაფაზე.
- კითხვების საშუალებით მასწავლებელი მოკლედ გაახსენებს მოსწავლეებს რომანტიზმის დამახასიათებელ ნიშნებს.

15 წუთი

საშინაო დავალება

- მონაფეებს შინ წასაკითხად და დასამუშავებლად დაევალებათ სახელმძღვანელოში მოცემული სტატია რეალიზმის შესახებ.
- მოსწავლეებმა უნდა ამოკრიბონ რეალიზმის დამახასიათებელი ნიშნები და შეავსონ მისი რომა-

ნტიზმთან მსგავსება-განსხვავების სქემა (სქემის ფორმას მოიფიქრებენ თვითონვე).

5 ნუთი

გაკვეთილი III

გაკვეთილის თემა:

ალექსანდრე ყაზბეგი, „ხევისბერი გოჩა“ (ტექსტზე მუშაობა)

გაკვეთილის მიზანი

- თხრობის უნარის განვითარება;
- მსჯელობის უნარის განვითარება;
- ტექსტზე მუშაობის უნარის განვითარება;
- დისკუსიის წახალისება.

აქტივობები

- შინაარსის გეგმის შემოწმება;
- ტექსტის მნიშვნელოვანი პასაჟების გადმოცემა;
- პერსონაჟების სახასიათო ნიშნებზე დაკვირვება;
- ნასწავლი ტექსტის გახსენება;
- დისკუსიის გამართვა;
- წერილობით საკუთარი აზრის გადმოცემა.

საჭირო რესურსები

სახელმძღვანელო.

შეფასების ფორმა

- მასწავლებლის დაკვირვება მოსწავლეთა აქტივობასა და ქცევაზე; მასწავლებლის დაკვირვება მუშაობის პროცესზე.

გაკვეთილის მსვლელობა

- მასწავლებელი სურვილისამებრ რამდენიმე მონაფეს ნააკითხებს დავალებად მიცემულ VII-XII თავების შინაარსის გეგმას;
- მასწავლებელი ტექსტის გასააზრებლად და მონაფეთა მეტყველების განვითარების მიზნით კლასიდან რამდენიმე მონაფეს მოაყოლებს მნიშვნელოვან პასაჟებს ტექსტიდან, კერძოდ: როგორ შემოდის გოჩა ნანარმოებში, როგორ ახასიათებს მას მწერალი; ონისეს განცდები; მამა-შვილის საუბარი...

15 წუთი

- მასწავლებელი კლასში ამუშავებს სახელმძღვანელოში მოცემულ VII-XII თავების შესაბამის კითხვარს (რომელსაც თავისი შეხედულებისამებრ შესაძლოა დაუმატოს კითხვები, ვთქვათ ასეთი: როგორ ხასიათდებიან პერსონაჟები მოცემული მონაკვეთის მიხედვით, რას ანიჭებს მწერალი უპირატესობას: პირდაპირ დახასიათებას თუ მოქმედებაში ავლენს მათ თვისებებს; იკვეთება თუ არა პორტრეტში გმირის ხასიათი და ა. შ.).

15 წუთი

- შემდეგ მასწავლებელი დასვამს კითხვას: რომელ ნანარმოებში შევხვდით შვილისაგან მშობლისთვის თავისი სიყვარულის დამალვის ეპიზოდს? (პასუხი: „ოთარანთ ქვრივი“); როგორ არის გადმოცემული შვილებისა და მშობლების განცდები ამ ორ ტექსტში (რასაკვირველია, მონაფეებს შეუძლიათ მოძებნონ სახელმძღვანელოში „ოთარანთ ქვრივის“ შესაბამისი ეპიზოდი და გადაიკითხონ). შემდეგი კითხვა მასწავლებლისგან: რომელ ტექსტშია ეს განცდები უფრო მძაფრად აღწერილი და რა არის ამის მიზეზი?

შესაძლოა გაკვეთილზე დისკუსიაც გაიმართოს თემაზე: რატომ არ არიან შვილები მშობლებთან გულახდილები, რატომ არ უზიარებენ მათ თავიანთ განცდებს.

15 წუთი

საშინაო დავალება

- რამდენადაც დროის სიმცირის გამო დისკუსიის დროს ყველა მონაფე ვერ გამოთქვამდა აზრს ამ საკითხზე, შესაძლებელია, დავალებად მიეცეთ წერილობით საკუთარი აზრის გამოხატვა სამსჯელო საგანზე.
- ნასაკითხად მოთხრობის XIII—XIX თავები.

გაკვეთილი IV

გაკვეთილის თემა:

ვაჟა-ფშაველა, „ბახტრიონი“ — შემაჯამებელი გაკვეთილი

გაკვეთილის მიზანი

- ტექსტის წვდომა-გააზრების უნარის შემოწმება;
- ტექსტის ინტერპრეტაციის უნარის განვითარება;
- სამეცნიერო ნაშრომში მოცემული ინფორმაციის წვდომისა და ინტერპრეტაციის უნარის განვითარება;
- წერიტი უნარ-ჩვევების განვითარება.

აქტივობები

- მუშაობა ტექსტიდან საჭირო ინფორმაციის ამოკრებაზე;
- კითხვებზე ვრცელი და არგუმენტირებული პასუხების გაცემა;

- მომზადება წერიტი დავალების შესასრულებლად.

საჭირო რესურსები

სახელმძღვანელო

შეფასების ფორმა

- მასწავლებლის დაკვირვება მოსწავლეთა აქტივობასა და ქცევაზე; მასწავლებლის დაკვირვება მუშაობის პროცესზე.

გაკვეთილის მსვლელობა

- მასწავლებელი ამონიშნავს, რამდენად გაართვეს თავი მოწაფეებმა „ბახტრიონის“ ბოლო თავებს (XV-XVIII). ამისათვის იგი კლასს ყოფს ჯგუფებად, თითოეულ ჯგუფს დაევალება მოამზადოს პასუხები შესაბამისი თავების კითხვებზე, რომლებიც სახელმძღვანელოშია მოცემული (თუ კლასი ძლიერია, შესაძლებელია ამასთან ერთად მასწავლებელმა დაავალოს მოწაფეებს, კიდევ რა კითხვების დასმა იქნება შესაძლებელი, ანუ რა საკითხების წამოწევა პოემის ამ ნაწილის უკეთ გასააზრებლად). ჯგუფები წარმოადგენენ თავიანთ პასუხებს.

20 წუთი

- შემდეგ მასწავლებელი გადადის სახელმძღვანელოში მოცემულ შემაჯამებელ კითხვებზე. კითხვებზე პასუხში მთელი კლასი მონაწილეობს, მეტად მნიშვნელოვანია, მოწაფეებმა კიდევ ერთხელ გაიხსენონ მთლიანად პოემა პასუხების მოფიქრებისას და, რაც მთავარია, ყველასთვის გასაგები გახდეს ავტორის სათქმელი.
- სანათას სახის გააზრებისთვის, სასურველია, მოწაფეებს მივანოდოთ ერთი ინფორმაცია: „ხალხური

პოეზია იცნობს ხომარელ სანათას — „ენით, სიტყვით გამამხნეველ დიაცს“ (ვაჟა), რომელიც, ვაჟასავე თქმით, „ეკუთვნის იმ შავსა და ბნელ დროს, როცა ფშავლები და თუშები ერთი მეორესა ჰლაშქრავდნენ, არ იყო მათ შორის ძმობა და თანხმობა“ ეს არის ხომარისათვის საბედისწერო ხანა, როცა საყმო... დალევის ზღვარამდე იყო მისული; საყმო იხსნა რამდენიმე გმირმა, რომელთა შორის ლექსი ახსენებს სანათას:

დაგვლივინა ხომარის გორმა,
იქ წყლის არ გამოდენამა,
ვინრო-ვინრომა ხევ-ხუვმა,
მოკლედ ფშავლების დენამა,
წონკორაულის ისარმა,
სანათაისა ენამა...

არც ლექსი, არც პროზაული ანდრეზი არ აზუსტებს, რა სიტყვებს წარმოთქვამდა ხომარელი ქალი მოისართა თუ ხმლით მკვეთებელთა გასამხნეველად, რომელთაც ალბათ ესაჭიროებოდათ გამხნეება... აი, ამ კრიტიკულ ჟამს, როცა ყველაფერი ჩამკვდარია, გამოჩნდება... უნარი ხომარელი სანათასი, რომლის ენამ „დალივა“ მტერი.

არის კიდევ ერთი სანათა, „ბახტრიონის“ გმირი, მართლაც „დედა ფშავში“, რომლის გმირული ოჯახი... განასახიერებს ხომარის „დალეულ“ საყმოს... სიცოცხლე ჩამკვდარია ხომარაში და ეს ყველაზე უფრო ცხადი ხდება დღესასწაულის დღეს, როცა

აქ არც ხევისბრის ხმა ისმის,
არსად ფშაური ღრეობა,
ვინ გიჟი იტყვის იმასა,
რომ დღეს აქ იყოს დღეობა?!
ბრალადა ბჟუტავს სანთელი...

ეს ერთადერთი სანთელი დანთებულია სანათას მიერ, ქმარშვილამონყვეტილი დიაცის მიერ, რომელიც კისრულობს საკულტო ცხოვრების აღორძინებას უყმოდ

დარჩენილ ჯვარში („მარტოს აუნთავ სანთლები ... ხატ-
ღმერთი უდიდება“).

სანათა სჩადის ისეთ საქმეს, რომლის უფლება მას,
როგორც დედაკაცს, ტრადიციულად არა აქვს: მისი
საქციელი გაუგონარი საქციელია საყმოს თვალში, რომ-
ლის თვალსაზრისს აქ გამოხატავს ავტორი პოემისა და ამ
უჩვეულო სცენის ერთადერთი შემსწრე — კვირია. ავტო-
რი გაკვირვებით კითხულობს — „საჯარეს დიაცს რა უნდა,
არ თუ ეშინის დავისა?“ კვირია კი ქვეყნის დასასრულად
მიიჩნევს ამ ვითარებას, როცა ყველაფერი თავდაყირაა:

დიაცს ვინ მოგცა ის ნება,
საქმე აკეთო მამრისა?
ვფიქრობ, დროება დამდგარა
იმ მეორმოსვლის წამისა.

კვირია არ ცდება: ხოშარაში კატასტროფის შემდეგ
დამდგარია „მეორმოსვლის წამი“, როცა ყველაფერი
თავიდან უნდა იწყებოდეს, უნდა განმეორდეს იმ პირველ
სანათას ქმედება, რომელმაც ჯვარი და საცხოვრებელი
ადგილი აღმოუჩინა „დალევამდე“ მისულ ხოშარის წინა-
პრებს. „ბახტრიონის“, ამ ესქატოლოგიური პოემის,
დასაწყისში ამ სანათას ეს ერთი შეხედვით უჩვეულო,
მაგრამ ანდრეზულად ჩვეულებრივი არქექტიპული საქ-
ციელი იმედს იძლევა, რომ ხოშარაში აღდგება საყმო.“ (ზ.
კიკნაძე, წიგნიდან „ჯვარი და საყმო“).

- შემდეგ მასწავლებელი მონაფეებს ყურადღებას
გაამახვილებინებს კიდევ ერთ ქალ პერსონაჟზე,
ლელაზე, რომელსაც ასევე „საქმე მამრისა“ უტვი-
რთავს და ძმების სისხლის ასაღებად, მტრის დასა-
მარცხებლად — სიზმრით შთაგონებული — მამის
იარაღასხმული სახლიდან გამოპარულა. კლასი
კიდევ ერთხელ გადაავლებს თვალს შესაბამის
პასაჟს, მასწავლებლის დახმარებით გაიხსენებენ

ლელასა და კვირიას სიზმრის საერთო მომენტებს, გაარკვევენ ამ პერსონაჟის ფუნქციას ნაწარმოებში.

25 წუთი

საშინაო დავალება

- საშინაოდ კლასს მიეცემა დასაწერად თხზულება: „ბახტრიონის“ ქალი პერსონაჟების სახეები და მათი ფუნქცია ნაწარმოებში“.

(შემაჯამებელ კითხვარზე მუშაობა გაგრძელდება მომდევნო გაკვეთილზე თხზულებების პრეზენტაციის შემდეგ)

გაკვეთილი V

გაკვეთილის თემა:

ბუნება რომანტიკოსებისა და ვაჟას შემოქმედებაში

გაკვეთილის მიზანი

- მიღებული ცოდნის გამოყენების უნარის შემოწმება;
- კვლევის უნარის განვითარება;
- ჯგუფში მუშაობის უნარის განვითარება;
- საპრეზენტაციო უნარის განვითარება;
- მსჯელობის უნარის განვითარება;
- წერის უნარ-ჩვევის განვითარება.

აქტივობები

- ტექსტებზე დაკვირვება საჭირო ინფორმაციის მოძიება-ამონერის მიზნით;
- კვლევითი ხასიათის ტექსტის შექმნა;
- ჯგუფური კვლევის შედეგების პრეზენტაცია;
- დასკვნითი პრეზენტაციები.

საჭირო რესურსები

- სახელმძღვანელო,
- ვაჟა-ფშაველას ლექსების კრებული;
- ნ. ბარათაშვილის ლექსების კრებული;
- სამეცნიერო სტატიები.

შეფასების ფორმა

- მასწავლებლის დაკვირვება მოსწავლეთა აქტივობასა და ქცევაზე; მასწავლებლის დაკვირვება მუშაობის პროცესზე.

გაკვეთილის მსვლელობა

- მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეისწავლიან სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ვაჟა-ფშაველას ბუნების ციკლის ნაწარმოებებს, სასურველია, შეჯამების სახით კიდევ ერთხელ დააფიქროს მასწავლებელმა შემდეგ საკითხებზე:
 1. რა ადგილი უჭირავს, ვაჟას აზრით, ბუნებაში კეთილსა და ბოროტს?
 2. ბუნების ამ დიად წესრიგში რა ადგილი უკავია ადამიანს? რომელ ლექსშია ეს განსაკუთრებით მკაფიოდ ნაჩვენები?
 3. ერთ-ერთ წერილში ვაჟა წერს: ბუნების „გონიერი მოქმედება ადამიანის გონიერებას ბევრით აღემატება... ყველა დიდებული ადამიანი თვით ამ ბუნებას ჰგავს ღირსებითა და ნაკლით“. ამოკრიბეთ, რა ადამიანური თვისებები მიეწერება ბუნებას ვაჟას ნაწარმოებებში?
 4. თქვენი აზრით, რა მსჭვალავს ბუნების თემაზე შექმნილ ნაწარმოებებს — იმედი თუ უიმედობა?
 5. რომელ მხატვრულ სახეს იყენებს პოეტი ყველაზე ხშირად ბუნებისადმი მიძღვნილ ლექსებში?
 6. თქვენი აზრით, სად უფრო მეტი მხატვრული სახე გვხვდება – ბუნების თემატიკის ამსახველ ლექსებსა

- თუ პროზაში? რა უნდა იყოს ამის მიზეზი?
7. რატომ უნოდებენ ვაჟას „ბუნების მესაიდუმლეს“?
 8. როგორ ფიქრობთ, რა შემთხვევაში უფრო ძლიერია ბუნების განცდა — როდესაც მწერალი თავისი სულიერი განწყობილების ფონად იყენებს მას თუ როდესაც ბუნებას თავისთავადი, ადამიანისგან დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული?

25 წუთი

- ამ მუშაობის შემდეგ მიგვაჩნია, რომ კარგი იქნება მასწავლებელმა მოსწავლეებს შესთავაზოს თემა კვლევითი სამუშაოს ჩასატარებლად: ბუნება ვაჟა-ფშაველასა და ბარათაშვილის შემოქმედებაში.
- მასწავლებელი გაახსენებს მოწაფეებს, რომ ბუნებისადმი დამოკიდებულება რომანტიკოსებთან, თვითონ ლიტერატურული მიმდინარეობიდან გამომდინარე, განსხვავებულია იმისგან, რაც ვნახეთ ვაჟასთან. ბარათაშვილისთვის ბუნება ფონია საკუთარი განცდების, ემოციების გადმოცემისთვის, რომანტიზმის ბუნებიდან გამომდინარე, იგი თანამგრძნობად და მეგობრად მიიჩნევს ბუნებას, თუმცაღა ერთ-ერთ ლექსში — „ჩინარი“ — ისამბობს: „მრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთაც და უსულთ შორის და უცხოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათის საუბრის“. შესაძლებელია, მასწავლებელმა სწორედ ამ სტრიქონების გაცნობით მიანოდოს მოწაფეებს კვლევის იდეა.
- რადგან ბარათაშვილის შემოქმედებას უკვე იცნობენ, სასურველია, ლექსები სახელმძღვანელოდან, რომლებსაც ამ კვლევისას გააანალიზებენ, მოსწავლეებთან ერთად შეირჩეს.

15 წუთი

საშინაო დავალება

- მომდევნო გაკვეთილისთვის მასწავლებელი ერთ ჯგუფს დაავალებს ბუნების თემაზე შექმნილი ვაჟას იმ ლექსების შერჩევას, რომლებიც სახელმძღვანელოში არაა, მეორეს კი — ბარათაშვილისას. (სასურველია, რაოდენობა განისაზღვროს 10-12 ტექსტით, რაც მოსწავლეებს კი შეზღუდავს რაღაც თვალსაზრისით, მაგრამ, ამავე დროს, „აიძულებს“ საუკეთესოთა შორის საუკეთესო შეარჩიონ).

5 ნუთი

(ბუნებრივია, ამგვარი სამუშაო ერთ გაკვეთილზე ვერ დასრულდება. მომდევნო გაკვეთილებზე მუშაობის ფორმა შემდეგნაირად წარმოგვიდგენია:

- მას შემდეგ, რაც მოსწავლეები მოიტანენ მასალას (ვაჟასა და ბარათაშვილის ლექსებს), კლასში განიხილება, თუ რატომ შეირჩა ეს ლექსები, შესაძლოა, რაღაც გამოაკლდეს ან მიემატოს ამ მსჯელობის შედეგად).
- არსებული მასალის საფუძველზე მონაფეებთან ერთად გამოიკვეთება საკითხები, რომლებზეც ცალკეული ჯგუფები იმუშავებენ.
- პირველი ეტაპი, რასაკვირველია, ტექსტებიდან ბარათებზე მასალის ამოკრება იქნება.
- შემდგომი ეტაპი დაეთმობა ერთობლივად ჩამოყალიბებულ საკითხებზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობას. ჯგუფებს დაევალება ამ მასალის მოძიება, დამუშავება და კლასში წარმოდგენა.
- შემდეგ თითოეული ჯგუფი შეადგენს გეგმას, რომლის მიხედვითაც უნდა იმსჯელოს (წერილობით), ჯგუფები გეგმას წარმოადგენენ კლასში, იმსჯე-

ლებენ, სრულყოფენ და შემდეგ უშუალოდ დაინყება
ნერის პროცესი.

- დასრულებული ნამუშევრების პრეზენტაცია შესა-
ძლოა არასაგაკვეთილო დროსაც მოხდეს, ანუ მიე-
ძღვნას მას სემინარი, კონფერენცია და ა.შ.)

შეფასების სისტემა, ფორმაში, რეკომენდაციები

შეფასება სწავლა/სწავლების პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. სასწავლო გეგმის მიხედვით დადგენილია ორი ტიპის შეფასება: განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

განმავითარებელ შეფასებას (რომელიც თავის თავში მოიცავს თვითშეფასებასაც) მასწავლებელი იყენებს სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად, მოსწავლის განვითარების უზრუნველსაყოფად. ეს სწავლების პროცესის მიმდინარეობისას მიღწეულის შეფასებაა, მაგალითად, რაიმე თემის/ტექსტის შესწავლის პროცესი, საშინაო დავალების, პროექტის რომელიმე ეტაპის ან გაკვეთილზე ჩართულობის შეფასებაა. ამგვარი შეფასებისას მოსწავლეს მასწავლებლისგან იღებს ისეთ ინფორმაციას, რომელიც მას განვითარებასა და საკუთარი სწავლის გაცნობიერებაში ეხმარება, ამდენად, შეფასების ამგვარი ფორმა უფრო მეტად ურთიერთანამშრომლობითია, ვიდრე განმსაზღვრელი შეფასება, აქედან გამომდინარე, განმავითარებელი შეფასებისას მასწავლებელი ქულას არ წერს, იგი მონაფეს აძლევს რჩვას, რეკომენდაციას, უჩვენებს პრობლემათა გადაჭრის გზებს, დააფიქრებს საკუთარი აზროვნების პროცესზე და ა.შ.

თვითშეფასება და ურთიერთშეფასება მოსწავლეთა შეფასების მნიშვნელოვანი კომპონენტია. მოსწავლეებმა შეიძლება შეაფასონ საკუთარი თავიცა და თანატოლიც. თვითშეფასება მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლია მოსწავლეს თვალი ადევნოს საკუთარ პროგრესს. შეფასების ამ ფორმის ხშირად გამოყენება მოსწავლეს საკუთარი ცოდნის ობიექტურ შეფასებას ასწავლის და დამოუკიდებლად სწავლისა და თვითკრიტიკის უნარს უვითარებს. იგი მეტად მნიშვნე-

ლოვანია მასწავლებლისთვისაც, რომელიც მეტ ინფორმაციას აგროვებს მოწაფეების შესახებ და უფრო მეტად შეუძლია დაეხმაროს მათ.

განმსაზღვრელი შეფასება კი მოსწავლეთა მიღწევებსა და დონეს განსაზღვრავს სასწავლო გეგმასა და სასწავლო მიზნებთან შესაბამისობაში. განმსაზღვრელი შეფასება შედეგზეა ორიენტირებული, ამდენად ქულის დანერგვა სავალდებულო მოთხოვნაა. განმსაზღვრელი შეფასებისას მასწავლებელი იყენებს სხვადასხვა შემაჯამებელ აქტივობას: პრეზენტაციას, პროექტის განხილვას, ტესტს, საკონტროლო წერას და ა.შ. განმსაზღვრელი შეფასება ქულის სახითაა მოცემული, რომელიც განსაზღვრავს მონაფის დონეს, შესაბამისად, მას შეიძლება არ ახლდეს შედეგების გასაუმჯობესებლად კომენტარები ან რეკომენდაციები.

სარეკომენდაციო ლიტერატურა მასწავლებლებსათვის

ალექსანდრე ჭავჭავაძე

1. **ასათიანი გურამ**, „საუკუნის პოეტები“, თბ., 1988.
2. **ლომიძე თამარ**, „ალექსანდრე ჭავჭავაძის „გოგრა“, ჟურნ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1998, 1.
3. **მეუნარგია იონა**, ალექსანდრე ჭავჭავაძე, ნიგნიდან „ქართველი მწერლები“, თბ., 1954.
4. **ნაკუდაშვილი ნინო**, „ლიტერატურული მიმდინარეობები“, თბ., 1997.
5. **ნუცუბიძე თამარ**, ქართული რომანტიზმის ტიპოლოგიის საკითხები“, თბ., 1981.
6. **ქიქოძე გერონტი**, „რომანტიკოსების თაობა“ წერილები, თბ., 1985.
7. **ჭავჭავაძე ილია**, „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“, რჩეული, ნიგნი I, თბ., 1975.
8. **ჭიჭინაძე ზაქარია**, „ბესიკი, ალ.ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი“, თბ., 1886.

გრიგოლ ორბელიანი

1. **ანჯაფარიძე შორენა**, ბედისწერის გაგება გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში“, ჟურნ. კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა“, 1998, 2.
2. **ანჯაფარიძე შორენა**, გრიგოლ ორბელიანის სატრფიალო კონცეფცია“, ჟურნ. კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა“, 1998, 2.
3. **ასათიანი გურამ**, „საუკუნის პოეტები“, თბილისი, 1988
4. **განწრელია აკაკი**, გრიგოლ ორბელიანი, თბილისი, 1989.
5. **ლომიძე თამარ**, „გრიგოლ ორბელიანის „ჩემს დას ეფემიას“, ჟურნ. „ლიტერატურა და ხელოვნება“,

- 1998, 2.
6. **მალრაძე ელგუჯა**, „გრიგოლ ორბელიანი“, თბილისი, 1973.
 7. **შარაბიძე თამარ**, „გრიგოლ ორბელიანის ლირიკა“, ჟურნ. „ბურჯი ეროვნებისა“, 1999, 1
 8. **წერედიანი დავით**, „გრიგოლ ორბელიანი“, წიგნიდან „ანარეკლი“, თბ., 2005.
 9. **ხინთიბიძე აკაკი**, „გრიგოლ ორბელიანის მუხამბაზი „გინდ მეძინოს“, ჟურნ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1991, 6

ნიკოლოზ ბარათაშვილი

1. **ასათიანი გურამ**, „ვეფხისტყაოსნიდან ბახტრიონამდე“, თბ. 1974.
2. **ბაქრაძე აკაკი**, „რწმენა“, თბ. 1990.
3. **განერელია აკაკი**, „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, თბ., 1969.
4. **ევგენიძე იუზა**, „ქართული რომანტიზმის საფუძვლები“, თბ., 1982.
5. **ინგოროყვა პავლე**, „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, თბ., 1969.
6. **კიკნაძე ზურაბ**, „ხაროდან გამოქვაბულამდე“, წიგნიდან „ავთანდილის ანდერძი“, თბ., 2001.
7. **კიკნაძე ზურაბ**, „სამი მთაწმინდა“, წიგნიდან „ავთანდილის ანდერძი“, თბ., 2001
8. **კოტეტიშვილი ვახტანგ**, რჩეული ნაწერები ორ წიგნად, თბ., 1965.
9. **მეუნარგია იონა**, „ცხოვრება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა“, თბ., 1945.
10. **ქიქოძე გერონტი**, წერილები, ესეები, ნარკვევები, თბ., 1985.
11. **ჭავჭავაძე ილია**, „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“, რჩეული, წიგნი I, თბ., 1975.

ბიორბი ერისთავი

1. **კიკნაძე ვასილ**, ქართული დრამატული თეატრის ისტორია“, თბ., 2003.
2. **„ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“** 1983, 3 (ნომერი ეძღვნება გიორგი ერისთავს).

ილია ჭავჭავაძე

1. **აბაშიძე კიტა**, ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1962.
2. **ასათიანი გურამ**, „საუკუნის პოეტები“ თბ, 1988.
3. **„ბალავერი“**, 1988, 2-3.
4. **ბაქრაძე აკაკი**, „ილია და აკაკი“, თბ., 1992.
5. **განერელია აკაკი**, ნარკვევები, პორტრეტები, ლექს-მცოდნეობა, თბ., 1988.
6. **ილიას სამრეკლო**, თბ., 1988.
7. **კალანდარიშვილი გულნარა**, „ტრადიცია და თანამედროვეობა ახალ ქართულ ლიტერატურაში“, თბ., 2006.
8. **კიკნაძე ზურაბ**, „განდეგილები“, წიგნიდან „ავთანდილის ანდერძი“, თბ., 2001.
9. **კოტეტიშვილი ვახტანგ**, XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ, 1989.
10. **ნაკუდაშვილი ნინო**, „ლიტერატურული მიმდინარეობები“, თბ., 1997.
11. **„ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“**, 1978, აპრილი, მაისი, ივნისი.
12. **ქიქოძე გერონტი**, წერილები, ესეები, ნარკვევები, თბ., 1985.
13. **შარაძე გურამ**, ილია ჭავჭავაძე, ცხოვრება და მოღვაწეობა, შემოქმედება, ფოტომატიანე ორ წიგნად. თბ., 1990.
14. **ჯორჯაძე არჩილ**, წერილები, თბ., 1989.

აკაკი წერეთელი

1. **აბაშიძე კიტა**, ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1962.
2. **„აკაკის სამრეკლო“**, თბ., 1990.
3. **ბაქრაძე აკაკი**, „ილია და აკაკი“, თბ., 1992.
4. **ინგოროყვაძე პავლე**, „ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებლები“, თხზ. ტ.1, თბ., 1940.
5. **კიკნაძე გრიგოლ**, „აკაკი წერეთლის პროზაულ თხზულებათა პოეტურობის საკითხი“, წიგნიდან „ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები“, თბ., 1978.
6. **შათირიშვილი ზაზა**, „აკაკი წერეთლის სიზმრები და ვიზიონები“, წიგნიდან „ნარატივის აპოლოგია“, თბ., 2005.
7. **წერეთლიანი დავით**, „ცოტა რამ აკაკის ლირიკაზე“, წიგნიდან „ანარეკლი“, თბ., 2005.
8. **ჯაფარიძე გიორგი**, „ზეგარდმო მადლი“, ჟურნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1980, 2.

ალექსანდრე ყაზბეგი

1. **აბაშიძე კიტა**, ეტიუდები, თბ., 1970.
2. **ბაქრაძე აკაკი**, „ილია და აკაკი“, თბ., 1992.
3. **გაჩეჩილაძე გიორგი**, ალექსანდრე ყაზბეგი და „ინტელექტუალური დალატის“ პრობლემა თანამედროვეობის სარკეში“, გაზ. „ჩვენი მწერლობა“, 2003, 25 აგვისტო.
4. **კიკნაძე გრიგოლ**, „ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები“, თბ., 1978.
5. **რობაქიძე გრიგოლ**, „ჩემთვის სიმართლე ყველაფერია“, თბ., 1996.
6. **„ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“**, 1981, 2.
7. **ქართული ლიტერატურის ისტორია**, თ IV, თბ., 1974.

8. ჩხეიძე როსტომ, „ყაზბეგიანა“, თბ., 2005.
9. ცხოვრება ალექსანდრე ყაზბეგისა, თბ., 1990.
10. ჭილაძე თამაზ, „პირველად იყო სიტყვა“, თბ., 1993.
11. ჯორბენაძე ბესარიონ, „ბალავარი მწერლობისა“, თბ., 1987.

ვაჟა-ფშაველა

1. ასათიანი გურამ, „ვეფხისტყაოსნიდან ბახტრიონამდე“, თბ. 1974.
2. ბაქრაძე აკაკი, „ვაჟას მრწამსი“, წიგნიდან „რწმენა“, თბ., 1990.
3. განწერელია აკაკი, რჩეული ნაწერები, თბ., 1965.
4. „ვაჟა-ფშაველას ხუთი პოემა“, თბ., 1975.
5. კალანდარიშვილი გულნარა, „ტრადიცია და თანამედროვეობა ახალ ქართულ ლიტერატურაში“, თბ., 2006.
6. კვესელავა მიხეილ, „ფაუსტური პარადიგმები“, თბ., 1961.
7. კიკნაძე გრიგოლ, „ვაჟა-ფშაველას შემოქმედება“, თბ., 1989.
8. კიკნაძე გრიგოლ, „ვაჟა-ფშაველას პროზის სტილი“, წიგნიდან „მეტყველების სტილის საკითხები“, თბ., 1957.
9. კიკნაძე ზურაბ, „ვაჟას მთა და ბარი“, „ბახტრიონის დასარული“, წიგნიდან „ავთანდილის ანდერძი“, თბ., 2001.
10. კიკნაძე ზურაბ, „ჯვარი და საყმო“, თბ., 1996.
11. კოტეტიშვილი ვახტანგ, XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1989.
12. რაზიკაშვილი გულქან, „მამამა ლმერთს ჩამაჰყარა სახელი“, თბ., 1991.
13. რობაქიძე გრიგოლ, „ჩემთვის სიმართლე ყველა-ფერია“, თბ., 1996.

14. ტაბიძე ტიცვიან, წერილები, ნარკვევები, თბ., 1957.
15. ქიქოძე გერონტი, წერილები, ესეები, ნარკვევები, თბ., 1985.
16. შათირიშვილი ზაზა, „პოეზიის სანყისი“, წიგნიდან „კლასიკური ტრადიციის მცირე უწყება“, თბ., 2006.
17. ჩიქოვანი სიმონ, თხზულებანი, ტ. III, თბ., 1983.
18. ჩხენკელი თამაზ, „მშვენიერი მძლევარი“, თბ., 1989.
19. ხორნაული გიგი, „ცხოვრება ვაჟა ფშაველასი“, თბ., 1987.
20. ჭინჭარაული ალექსი, ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი“, თბ., 1969.
21. ჭინჭარაული ალექსი, „ვაჟას არნივი“, ჟურნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1980, 3.
22. ჭინჭარაული ალექსი, „მთას ვიყავ“, თბ., 1980.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. ამასთან ერთად, განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს:

- ა) ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება;**
- ბ) ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა;**
- გ) ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება; ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი;**
- დ) დამოუკიდებლად ცხოვრება, გადაწყვეტილების მიღება;**
- ე) იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე;**
- ვ) საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება როგორც ქვეყნის**

შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც;

ზ) კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან;

თ) იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე.

